



ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის

2016 იანვარი

ინსტრუქცია

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - პროფესიული ცოდნა და მეთოდოლოგია და აკადემიური უნარები. ის 63 დავალებას შეიცავს. ზოგიერთ დავალებას ახლავს სავარაუდო პასუხები, ზოგიერთის პასუხი კი თქვენ თავად უნდა დანეროთ.

პასუხები აუცილებლად გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე, რომელიც თან ახლავს ტესტს (შესაბამისი ინსტრუქცია იხილეთ შემდეგ გვერდზე). ტესტირების შედეგი დადგინდება მხოლოდ და მხოლოდ პასუხების ფურცლის საფუძველზე.

ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ ან დანერეთ პასუხი.

ზოგიერთი დავალება, ერთი შეხედვით, სპეციფიკურ თეორიულ ცოდნას მოითხოვს, თუმცა რეალურად ამ დავალებათა შესრულება სავსებით შესაძლებელია პედაგოგიურ გამოცდილებამზე დაყრდნობით.

შავი სამუშაოსათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ტესტის ფურცლებზე არსებული ცარიელი ადგილები.

სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

დროის ამოწურვის შესახებ გაცნობებთ მეთვალყურე.

გისურვებთ წარმატებას!

სხვადასხვა ტიპის დავალებათა ინსტრუქციები

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით, სხვადასხვაგვარია. ტესტში შეგხვდებით:

- დავალებები არჩევითი პასუხებით;
- დავალებები ღია დაბოლოებით;
- შესაბამისობის დადგენის დავალებები;
- თხზულება.

არჩევითპასუხებიან დავალებებში პირობასა თუ შეკითხვასთან ერთად სავარაუდო პასუხებიც არის მოცემული. დავალების შესრულება გულისხმობს ოთხი სავარაუდო პასუხიდან ერთი სწორი პასუხის არჩევას.

პასუხის მონიშვნისას:

- *პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი;*
- *ნომრის ქვეშ იპოვეთ უჯრა, რომელიც თქვენ მიერ არჩეულ პასუხს შეესაბამება;*
- *დასვით X ნიშანი ამ უჯრაში.*

თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი, ხოლო შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში).

თითოეული არჩევითპასუხებიანი დავალება 1 ქულით ფასდება.

დავალებები ღია დაბოლოებით მოითხოვს დასმულ შეკითხვაზე პასუხის ჩამოყალიბებას, საკუთარი მსჯელობის გამყარებას სათანადო არგუმენტებით. თითოეული ღიადაბოლოებიანი დავალება ფასდება სპეციალური სქემის მიხედვით. შესასრულებელი ნაბიჯების გათვალისწინებით, დავალება შეიძლება შეფასდეს 1, 2 ან მეტი ქულით. ამგვარ დავალებებზე პასუხის გასაცემად პასუხების ფურცელზე გამოყოფილია საგანგებო ადგილები.

გაითვალისწინეთ:

- *თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.*
- *თუ პასუხის გაცემისას დაარღვევთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, დაგაკლდებათ ქულა.*

შესაბამისობის დადგენის დავალებებში წარმოდგენილია მონაცემთა ორი სვეტი. ერთ სვეტში მოცემულია ე. წ. პირობა (მოვლენები, ფრაზები და ა. შ.), მეორეში კი – სავარაუდო პასუხები (ცნებები, ტერმინები და ა. შ.). დავალების შესრულება გულისხმობს ერთ სვეტში მოცემული ინფორმაციის მისადაგებას მეორე სვეტში მოცემულ ინფორმაციასთან. შესაბამისობის თითოეული დავალებისთვის პასუხების ფურცელზე მოცემულია ცხრილი. თქვენ უნდა შეავსოთ ცხრილის ცარიელი გრაფები – პირობის აღმნიშვნელი ასოს ქვეშ ჩაწეროთ მისი პასუხის შესაბამისი რიგითი ნომერი. შესაბამისობის დადგენის თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

თხზულებაში უნდა წარმოაჩინოთ თქვენი პოზიცია, მოსაზრებები შემოთავაზებული საკითხის შესახებ, კონკრეტული არგუმენტებით დაასაბუთოთ სათქმელი. თხზულების დასაწერად პასუხების ფურცელზე გამოყოფილია საგანგებო ადგილი.

თხზულების მაქსიმალური ქულაა 13.

პროფესიული ცოდნა და მეთოდика

ქართული ენა და ლიტერატურა

1. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ზედსართავს არ მოეპოვება ხარისხის სამივე ფორმა?

- (ა) მწარე
- (ბ) ტკბილი
- (გ) ლურჯი
- (დ) მშვენიერი

2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ნაწილაკდართული სიტყვა?

- (ა) ჩემებრ
- (ბ) ცოტალა
- (გ) იმგვარივე
- (დ) ხუთიოდე

3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებებშია ზმნა მოცემული სწორი ფორმით?

- I. შემოდგომაზე მოვკრეფ ყურძენს.
- II. წიგნიდან ამოვკრეფ არსებით სახელებს.
- III. ხშირად ვკრებ მეექვსე კლასის მოსწავლეთა მშობლებს.
- IV. მალე შევკრეფ ლიტერატურის მოყვარულებს.

- (ა) პირველსა და მესამეში
- (ბ) მეორესა და მესამეში
- (გ) მეორესა და მეოთხეში
- (დ) მესამესა და მეოთხეში

4. მასწავლებელმა მეექვსე კლასის მოსწავლეებს ვახტანგ გორგასლის შესახებ ნასწავლი ტექსტის მიხედვით თხზულების დაწერა სთხოვა. ერთ-ერთი მოსწავლის თხზულებიდან მოყვანილია რამდენიმე წინადადება:

- I. ქართულმა ეკლესიამ ვახტანგ გორგასალი წმინდანად შერაცხა.
- II. ბრძოლის წინ ვახტანგ მეფეს მხლებლებმა ისრები ჩაუდეს კაპარჭში.
- III. თბილისის დაარსება ვახტანგ მეფის სახელთან არის დაკავშირებული.
- IV. ვახტანგ გორგასალი მამა-შვილური სიყვარულით ექცეოდა ქართველ მეომრებს.
- V. იგი ლომისავით განრისხებული შევარდებოდა ხოლმე ბრძოლაში და შიშის ზარს სცემდა მტერს.
- VI. ვახტანგ მეფისათვის გორგასალი იმიტომ შეურქმევიათ, რომ მას მუზარადზე მგელი ჰქონია გამოსახული.

აღმოაჩინეთ გრამატიკული შეცდომები მოსწავლის ნაწერში, მიუთითეთ სწორი ფორმები, პასუხი დაასაბუთეთ. თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით. მოსწავლის მიერ სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში დაგაკლდებათ 1 ქულა.

5. წაიკითხეთ ერთი სტროფი გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „მშობლიური ეფემერა“:
„შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ – მივმართავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: ამირანია!...“

5.1. ლექსში ხაზგასმული ფრაზა მიგვანიშნებს კლდეების:

- (ა) სიმწვანეზე
- (ბ) ზღაპრულობაზე
- (გ) სიძველეზე
- (დ) სიდიდეზე

5.2. ამირანზე საუბრისას მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა, გაეკლოთ პარალელი სხვა მითოლოგიურ პერსონაჟთან. მოსწავლეებმა სხვადასხვაგვარი პასუხი გასცეს მასწავლებელს. მათგან რომელია მართებული?

- (ა) ჰერაკლესთან, რადგან, ამირანის მსგავსად, მისი სახელიც ცნობილ 12 გმირობას უკავშირდება.
- (ბ) ოდისევსთან, რადგან, ამირანის მსგავსად, საკუთარ კუნძულზე დასაბრუნებლად მასაც ბევრი ფათერაკი გადახდა.
- (გ) პრომეთესთან, რადგან, ამირანის მსგავსად, ისიც ღმერთის ურჩობისთვის დაისაჯა.
- (დ) აქილევსთან, რადგან, ამირანის მსგავსად, მტერმა მის დასამარცხებლადაც „სუსტი წერტილი“ გამოიყენა.

6. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე მოსაზრება საშუალო სკოლაში „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების სპეციფიკის შესახებ.

„ვეფხისტყაოსნის“ სწავლება :

- I – დაწყებით საფეხურზე დაუშვებელია, რადგან ამ ეტაპზე ბავშვებს სრულიად არ გააჩნიათ პოეზიის ესთეტიკური აღქმის უნარი;
- II – დაწყებით საფეხურზე შეიძლება, თუ პოემის ტექსტს ბავშვებს ისე მივაწვდით, როგორც ზღაპარს ილუსტრაციებითურთ და რამდენიმე სტროფს ვასწავლით მუსიკალურობის შესაგრძნობად;
- III – საბაზო საფეხურზე შეიძლება, რადგან ამ ასაკში ბავშვები იოლად ითვისებენ ვრცელ ტექსტებს, საშუალო საფეხურზე კი ამ მოცულობის პოემის სწავლება ვეღარ ესწრება;
- IV – საბაზო საფეხურზეც შეიძლება, თუ მხოლოდ რამდენიმე შედარებით მარტივ ეპიზოდს ვასწავლით, ინტერესს გავუღვივებთ ამ პოემის მიმართ და შევაჩვევთ მის ენას, მხატვრულ სახეებს;
- V – საშუალო საფეხურზე შეიძლება, რადგან უფრო მცირე ასაკის ბავშვები ვერ სწვდებიან იმ პოეტურსა თუ ფილოსოფიურ ნააზრევს, რომელიც ამ პოემის სწავლისას შეხვდებათ;
- VI – მხოლოდ საშუალო საფეხურზე შეიძლება, რადგან ამ ასაკის მოსწავლეები უკვე მზად არიან, სრულყოფილად შეიმეცნონ რუსთველის პოემის ესთეტიკური თუ ფილოსოფიური ნააზრევი.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებებია მართებული?


- (ა) I, II, და IV
- (ბ) II, III, და V
- (გ) II, IV და V
- (დ) I, III, და VI

7. დაადგინეთ შესაბამისობა ქართულ საბავშვო ლიტერატურულ ნაწარმოებებსა და მათს ავტორებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაწარმოების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ ავტორის შესაბამისი ნომერი (გაითვალისწინეთ, რომ ერთი პასუხი ზედმეტია).

- | | |
|----------------------|------------------------|
| (ა) „სალამურა“ | 1. გივი ჭიჭინაძე |
| (ბ) „დაჩის ზღაპრები“ | 2. ნიკო ლომოური |
| (გ) „ქაჯანა“ | 3. არჩილ სულაკაური |
| (დ) „თინას ლეკური“ | 4. რევაზ ინანიშვილი |
| (ე) „დათუნია დრუნჩა“ | 5. ოტია იოსელიანი |
| | 6. ეკატერინე გაბაშვილი |

ა	ბ	გ	დ	ე

8. დაადგინეთ შესაბამისობა მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟებსა და მათს ატრიბუტებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ატრიბუტების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ პერსონაჟების შესაბამისი ნომერი (გაითვალისწინეთ, ორი შესაძლო პასუხი ზედმეტია).



1. რობინ ჰუდი
2. შერლოკ ჰოლმსი
3. კარლსონი
4. ბურატინო
5. ბარონი მიუნჰაუზენი
6. მერი პოპინსი

ა	ბ	გ	დ

9. წაიკითხეთ ვაჟა-ფშაველას მოთხრობა და ნაწყვეტები ირაკლი შავგულიძის სტატიიდან. შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

მგელი (მოთხრობის ადაპტირებული ვერსია)

ფრიად დაღონებული იყო. ყველასაგან მოძულეებული და ყველასაგან შეჩვენებული დღესაც დაღონებული იწვა უდაბურს ტყეში. ორივე ტოტი წინ გაეწოდა. მგელი ცის სივრცეს გასცქეროდა. რას ფიქრობდა ეს ბეჩავი ცხოველი?

დღეს მგელი სრულიად სხვა რასმე ფიქრობდა და ღმერთს ემუდარებოდა: „ღმერთო, რად გამაჩინე მგლად?! რადა ვპულვარ ყველას? რად მომეცი ბუნება მგლისა? რატომ არა ვარ შველი ან ირემი, თუნდ ბეჩავი კურდღელი? ჩვენი ყველა სულდგმულს ემინიან და ყველა გვემტერება. მე მგლობამ უბედურების მეტი არაფერი მომიტანა... იქ რა უნდა, რა ესაქმება ბედნიერებას, საცა ქენჯნა და მხილებაა სინდისისა?! რა მქვიან მე? – მგელი. უვარგისს, უმსგავსს სახელს ვატარებ. ნუთუ ამისთანა სიცოცხლე სიცოცხლეა?! არა, ეს მკვდარი სიცოცხლეა. მირჩიეთ, რითი ვუშველო ჩემს თავს? საით, როგორ დავაღწიო თავი ამ მგლურს ბუნებას?..“

– ეეჰ! – სთქვა მან და მწარედ კბილები დააკრაჭუნა.

მდინარე, ქვევით ხევში ლოდებზე მომდინარეც, ტკეპნით მიაქანებდა ტალღებს, თითქოს მიმხვდარიყო და თანაუგრძნობდა მგლის გულის ტკივილს – „უყურე, მგელს, – ამბობდა იგი, – ვინ მგელი, ვინ ეგ სიტყვები?“

– არა სტყუის! – დაიჩხავლა ჩხიკვმა, – გულწრფელად ამბობს.

– არა სტყუის! – დაიბუტბუტა კლდემ, მგლის თავზე შავად დაყუდებულმა.

– მართალია, მართალი, არა სტყუის! – დაიგრიალა ტყემ და მიშოლტ-მოშოლტა თავისი ფოთლიანი ტოტები.

მგელი ხმას არ იღებდა... გარინდებული იყო.

– ვაჰ!.. მე რომ... მე რომ ის... ვიყო? – ბუტბუტებდა და თან დასთვლიდა. დასთვლიდა და რა მოესიზმრა? ირმად ქცეულიყო, მშვენიერი ტანისა, ბოჯოჯლი რქებით შემოსილი, ყელმოღერებული სხვა ირმებთან ერთად დანავარდობდა ტყეში. მძინარს გრიალი, ხმელი ფოთლების შრიალი და ლაწა-ლუწი შაესმა. ფეხზე წამოდგა... მის პირდაპირ დამფრთხალი ირმები გარბოდნენ. მგელი თვალს ვერ ამორებდა, ირმებს თან გაჰყვა მისი თვალები. მონადირემ, რომელიც ირმებს მისდევდა, მგელს თვალი შეასწრო, გამოუმიზნა თოფი. თოფი გავარდა... და მგელიც წაიქცა...

ამ შემთხვევამ ყველა გააოცა.

– საწყალი, საწყალი მგელი! – დუდუნებდა მდინარე. ტყე არაფერს ამბობდა, თავი დაბლა დაეღო და ღრმა, საიდუმლო ფიქრებში იყო გართული.

ნაწყვეტები სტატიიდან

მგლისა და ადამიანის ქცევასა და ცხოვრების ნირში ბევრი რამ არის საერთო. მგელიც და ადრეული ადამიანიც შესაძლოა სხვადასხვა დროს და გეოგრაფიულად სხვადასხვა ადგილას ერთი პრობლემის წინაშე დადგნენ: როგორ ენადირათ დიდი ზომის მსხვერპლზე. ამ პრობლემას ევოლუციამ ორივე სახეობაში პრაქტიკულად ერთი და იგივე გადაწყვეტა მოუძებნა. ეს იყო ჯგუფური ნადირობა... თანაც ზედმიწევნით ორგანიზებული და მოწესრიგებული. ჯგუფს ჰყავს ლიდერი, რომელსაც ჯგუფის სხვა წევრები ემორჩილებიან; თითოეულ წევრს აქვს თავისი ფუნქცია და პასუხისმგებლობა ნადირობის დროს. ასე არის მგლებში და ასე იყო, როგორც ჩანს, ჩვენს წინაპრებშიც.

შესაბამისად, სოციალური სტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით ადრეული ადამიანი მგელთან უფრო ახლოს დგას.

მგლის მსოფლიო არეალი დღეს საგრძნობლად შემცირებულია. სადაც გადარჩა, მხოლოდ თავისი გონებრივი შესაძლებლობებისა და ჯერ კიდევ შემორჩენილი თავშესაფრის (ტყის) წყალობით. საქართველოში, როცა აქა-იქ მოხეტიალე თითო-ოროლა ველური ჩლიქოსანი და დავტოვებ ჩვენს გაჩეხილ და განადგურებულ ტყეებში, მგელს, ფაქტობრივად, ვაიძულებთ, ჩვენზე ცხვარი და ძროხა მოგვტაცოს, რათა მერე მავნე და სამაგელ ცხოველად მოვნათლოთ. იქნებ მგლისა და ადამიანის საერთო ნიშნების გამოჩნებით უფრო ადვილად შევძლოთ სტერეოტიპებისგან გათავისუფლება. იქნებ პატივისცემის ღირსიც იყოს ჭკვიანი და მოხერხებული, ჩვენი ბუნების ჯერ კიდევ ბოლომდე შეუცნობელი მთავარი მტაცებელი.

9.1. მოთხრობის მეორე აბზაცის ბოლოს ვხვდებით გამოთქმას – *„მკვდარი სიცოცხლე“*. აუხსენით მე-4 კლასის მოსწავლეებს, რას გულისხმობს ვაჟა-ფშაველა ამ გამოთქმაში?
(მაქსიმალური ქულა 1)

9.2. „როგორ დავაღწიო თავი ამ *მგლურს ბუნებას*“, - ამბობს მგელი. აუხსენით მე-4 კლასის მოსწავლეებს, როდის უჩნდება ადამიანს სურვილი, გარდაიქმნას, შეცვალოს საკუთარი ბუნება. თქვენი მსჯელობა გაამყარეთ არგუმენტებით, ამ მოთხრობიდან შერჩეული პასაჟებით.
(მაქსიმალური ქულა 2)

9.3. მეტაფორული გამოთქმა *„ირმებს თან გაჰყვა მისი თვალები“* გამოხატავს მგლის:
I – სევდას
II – სიხარბეს
III – შიმშილს
IV – შიშს
V – აღტაცებას ირმების სილამაზით

ზემოთ ჩამოთვლილთაგან მართებულია:

- (ა) I და IV
- (ბ) II და III
- (გ) I და V
- (დ) II და IV

9.4. იმსჯელეთ მგელთან დაკავშირებულ სტერეოტიპებზე, მოიყვანეთ მაგალითები ზღაპრებიდან; გარდა ამისა, გაიხსენეთ მითი ან ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც მგელი დადებითი პერსონაჟია; აუხსენით მოსწავლეებს, რატომ უნდა გავთავისუფლდეთ მგლის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენებისგან (გამოიყენეთ მოცემული ნაწყვეტი სტატიიდან).

(მაქსიმალური ქულა 3)

10. წაიკითხეთ ოთარ ჭილაძის ლექსი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

აჰა, ზამთარიც! მთის თხემებზე უკვე თოვლია,
დღეს უფრო დაბლა, უფრო ზანტად ფრინავს თოლია.
დასალიერთან რაღაც მდილი მიცოცავს ფრთხილად,
ეს ის გემია, აქ რომ იდგა ცოტა ხნის წინათ.

10.1. განმარტეთ, რას ნიშნავს ლექსში სიტყვა „დასალიერი“?

(მაქსიმალური ქულა 1)

10.2. განუმარტეთ მე-4 კლასის მოსწავლეებს მხატვრული სახე: „მდილი მიცოცავს ფრთხილად“.

(მაქსიმალური ქულა 2)

10.3. აუხსენით მე-4 კლასის მოსწავლეებს, რა განწყობას გვიქმნის ავტორი ლექსით და როგორ აღწევს ამ ეფექტს.

(მაქსიმალური ქულა 2)

მათემატიკა

11. ვთქვათ, ახლა 19 საათია. რამდენი საათის შემდეგ იქნება ხვალინდელი დღის 13 საათი?

- (ა) 6
- (ბ) 14
- (გ) 18
- (დ) 32

12. მათემატიკის მასწავლებელი მოსწავლეებზე დაკვირვებისას ასეთ ვარაუდს გამოთქვამს: „ვინც პირველ კლასში ანგარიშისას თითებს იყენებს, მას მომავალში გაუჭირდება მათემატიკის სწავლა.“

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დააყენებს ეჭვს მასწავლებლის ამ ვარაუდს?


6-7 წლის ბავშვს:

- (ა) სააზროვნო ოპერაციების შესასრულებლად კონკრეტული თვალსაჩინო დასაყრდენი სჭირდება
- (ბ) კონკრეტულ თვალსაჩინო მოცემულობაზე მიჯაჭვულობა ხელს უშლის მართებულ დასკვნების გამოტანაში
- (გ) უკვე შეუძლია ციფრს (სიმბოლოს) და რაოდენობას შორის მიმართების დამყარება
- (დ) უკვე შეუძლია რიცხვებით მანიპულირება, 10-ის ფარგლებში მიმატება-გამოკლება

13. ნიკამ სახლიდან აგარაკამდე ავტომობილით მისვლას 2 სთ მოანდომა. ავტომობილი შეუსვენებლად 60 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა. უკან დაბრუნებისას ნიკა ისევ თანაბარი, მაგრამ უფრო ნაკლები სიჩქარით მოძრაობდა, ამიტომ მან იმავე გზის გავლას 1 სთ-ით მეტი დრო მოანდომა. რამდენი კმ/სთ-ით შეუმცირებია ნიკას სიჩქარე უკან დაბრუნებისას?

- (ა) 10-ით
- (ბ) 15-ით
- (გ) 20-ით
- (დ) 25-ით

14. საერთო წვეროს მქონე კვადრატების გვერდებით შედგენილი კუთხეებიდან ერთ-ერთის სიდიდეა 55° (იხ. ნახაზი). რამდენი გრადუსია α კუთხის სიდიდე?



- (ა) 125°
- (ბ) 130°
- (გ) 135°
- (დ) 140°

15. კოლოფში 5 ლურჯი, 7 წითელი, 6 მწვანე და 3 თეთრი ფანქარია. მინიმუმ რამდენი ფანქარი უნდა ამოვიღოთ კოლოფიდან (მასში ჩაუხედავად), რომ ამოღებულ ფანქრებს შორის აუცილებლად იყოს 4 მწვანე ფანქარი?

- (ა) 12
- (ბ) 16
- (გ) 17
- (დ) 19

16. სანამ მოსწავლეები სიგრძის საერთაშორისო ერთეულს – „მეტრს“ – გაეცნობოდნენ, მასწავლებელმა მათ შემდეგი აქტივობა შესთავაზა: მან რამდენიმე მოსწავლეს სთხოვა, საკლასო ოთახის სიგანე ნაბიჯებით გაეზომათ და შედეგები დაფაზე ცხრილის სახით წარმოედგინათ. შედეგები ასე გამოიყურებოდა:


სახელი	ნაბიჯების რაოდენობა
ანა	10
გიგი	8
ნინი	9
კახა	7

ამ შედეგებმა ზოგიერთი მოსწავლის დაბნეულობა გამოიწვია. ისინი ვერ მიხვდნენ, მაინც რამდენი ნაბიჯის ტოლი იყო მათი საკლასო ოთახის სიგანე: 7-ის, 8-ის, 9-ის, თუ 10-ის.

მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისთვის ამ აქტივობის შეთავაზება:

- (ა) არაა მიზანშეწონილი, რადგან სჯობდა მოსწავლეები ჯერ სიგრძის საერთაშორისო ერთეულს – „მეტრს“ – გაეცნობოდნენ, შემდეგ გაეზომათ საკლასო ოთახის სიგანე და შედეგები ცხრილის სახით წარმოედგინათ. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეები აღარ დაიბნეოდნენ.
- (ბ) არაა მიზანშეწონილი, რადგან მოსწავლეებს გაზომვის შედეგები ცხრილის სახით არ უნდა წარმოედგინათ, გაზომვის თემასთან ცხრილის დაკავშირებამ დამატებით სიძნელეები შეუქმნა ბავშვებს; ზოგიერთი მათგანის დაბნეულობის ერთ-ერთი მიზეზი ესეც შეიძლება ყოფილიყო.
- (გ) მიზანშეწონილია, რადგან გაზომვის შედეგების ცხრილის სახით წარმოდგენით მასწავლებელმა გაზომვის თემა ცხრილს დაუკავშირა, რაც, მიუხედავად ზოგიერთი მოსწავლის დაბნეულობისა, პედაგოგიურად გამართლებულია – სხვადასხვა თემის ერთმანეთთან ბუნებრივად დაკავშირება ხომ ძალიან მნიშვნელოვანია.
- (დ) მიზანშეწონილია, რადგან, მიუხედავად ზოგიერთი მოსწავლის დაბნეულობისა, ცხრილის სახით წარმოდგენილ შედეგებზე დაკვირვებით ისინი მიხვდებიან, რომ საჭიროა სიგრძის იმ საზომის არჩევა, რომელიც არაა დამოკიდებული ცალკეული მოსწავლის კონკრეტულ მახასიათებელზე, მაგალითად, ნაბიჯის თუ მტკაველის სიგრძეზე.

ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციამ ჩაატარა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა გამოკითხვა. შეკითხვაზე, თუ რამდენ საბავშვო გადაცემას უყურებენ ისინი დღე-ღამეში, 3-მა მოსწავლემ უპასუხა, რომ არც ერთ საბავშვო გადაცემას არ უყურებს, 17-მა დაასახელა მხოლოდ ერთი გადაცემა და ა. შ. გამოკითხვის შედეგები მოცემულია სვეტოვანი დიაგრამის სახით:



დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ ორ შეკითხვას:

17. გამოკითხულ მოსწავლეთაგან რამდენი უყურებს სამზე მეტ საბავშვო გადაცემას?

- (ა) 6
- (ბ) 8
- (გ) 10
- (დ) 12

18. გამოკითხულთაგან რამდენჯერ მეტია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც უყურებენ ორ საბავშვო გადაცემას, იმ მოსწავლეთა რაოდენობაზე, რომლებიც სამ საბავშვო გადაცემას უყურებენ?

- (ა) 1,5-ჯერ
- (ბ) 2-ჯერ
- (გ) 2,5-ჯერ
- (დ) 3-ჯერ

19. ორნიშნა რიცხვის ციფრები ერთმანეთის მომდევნო ნატურალური რიცხვებია. მეორე ორნიშნა რიცხვი ჩაწერილია იმავე ციფრებით, ოღონდ შებრუნებული რიგით. ამ რიცხვებიდან ერთ-ერთი მეტია მეორეზე:

- (ა) 7-ით
- (ბ) 9-ით
- (გ) 10-ით
- (დ) 11-ით

20. ნიკას ჰყავს 1 ძმა და 3 და. ქვემოთ მოცემულია ოთხი შეკითხვა, რომლებიც მასწავლებელმა დაუსვა მეორე კლასის მოსწავლეებს. ამ შეკითხვებიდან ყველაზე მეტად რომელზე გაუჭირდებათ პასუხის გაცემა ამ ასაკის მოსწავლეებს?

- (ა) რამდენი და-ძმა ჰყავს ნიკას?
- (ბ) სულ რამდენი და-ძმანი არიან?
- (გ) რამდენით მეტია ნიკას დების რაოდენობა ნიკას ძმების რაოდენობაზე?
- (დ) რამდენი ძმა და რამდენი და ჰყავს ნიკას ერთ-ერთ დას?

21. თუ m და n ორნიშნა ნატურალური რიცხვებია, მაშინ $2m - 3n$ გამოსახულების უდიდესი მნიშვნელობაა:

- (ა) 165
- (ბ) 166
- (გ) 168
- (დ) 170

22. კვადრატული ფორმის ნაკვეთი, რომლის სიგრძეა 2 კმ, დაყვეს ტოლ, მართკუთხედის ფორმის, პატარა ნაკვეთებად, რომელთა სიგრძეა 250 მ, ხოლო სიგანე – 200 მ. სულ რამდენი პატარა ნაკვეთი მიიღეს?

- (ა) 80
- (ბ) 60
- (გ) 40
- (დ) 18

23. ფინიშისკენ ხუთი მორბენალი გარბოდა: ლევანი, ერეკლე, თემური, მამუკა და ნოდარი.


მოცემულია ოთხი წინადადება:

- I. მამუკა ლევანის წინ მირბოდა.
- II. ნოდარი ლევანს უკან მიჰყვებოდა.
- III. ერეკლე ლევანის უკან მირბოდა.
- IV. თემური ერეკლეს უკან მიჰყვებოდა.

ამ წინადადებებიდან რომელია ზედმეტი იმის დასადგენად, რომ მამუკა თემურის წინ მირბოდა?

- (ა) I
- (ბ) II
- (გ) III
- (დ) IV

24. ქვემოთ მოცემული ვენის დიაგრამებიდან რომელშია სწორად წარმოდგენილი ურთიერთმიმართება პარალელოგრამების, მართკუთხედების, რომბებისა და კვადრატების სიმრავლეთა შორის?



25. მასწავლებელმა გადაწყვიტა, მოსწავლეებს შესთავაზოს დამოუკიდებელი სამუშაო თემაზე „სიტყვებით ჩაწერილი რიცხვების ჩაწერა ციფრებით (ათასის ფარგლებში)“. ქვემოთ ჩამოთვლილ დავალებათა 4 ვარიანტიდან რომელია ყველაზე შესაფერისი იმის გასარკვევად, თუ რამდენად კარგად აითვისეს მოსწავლეებმა ეს თემა?

- (ა) ჩაწერეთ ციფრებით: *ორმოცდაჩვიდმეტი, სამასი, ხუთას რვა, ექვსას ოთხმოცდაათი*
- (ბ) ჩაწერეთ ციფრებით: *ოცდაათი, ას ორმოცდაათი, ხუთას სამოცი, ექვსას ოთხმოცი*
- (გ) ჩაწერეთ ციფრებით: *ას ორმოცდასამი, სამას ოცდახუთი, ექვსას ოცდათხუთმეტი, რვაას ოცდაოთხი*
- (დ) ჩაწერეთ ციფრებით: *ორასი, ორას ოცდაათი, ექვსასი, ექვსას ორმოცდაათი*

26. რიცხვს, რომელიც რომელიმე ნატურალური რიცხვის კვადრატის ტოლია, კვადრატული რიცხვი ეწოდება. ორნიშნა რიცხვებიდან რამდენია კვადრატული?

- (ა) 2
- (ბ) 4
- (გ) 6
- (დ) 8

27. ფურცელი დაჭრეს 5 ნაწილად. შემდეგ მიღებული ნაჭრებიდან ერთ-ერთი კვლავ 5 ნაწილად დაჭრეს და ასე გაიმეორეს რამდენჯერმე. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს მიღებული ნაჭრების საერთო რაოდენობა?

- (ა) 35
- (ბ) 29
- (გ) 24
- (დ) 18

29. IV კლასის მოსწავლეებს შემდეგი სამუშაო შესთავაზეს:

1) შეასრულეთ მოქმედებები: I. $240 \cdot 360$ II. $42105 : 21$
 III. $30458 - 2536 - 5464$

2) რამდენით მეტია 9 ლარისა და 30 თეთრის მესამედი ნაწილი 5 ლარისა და 10 თეთრის მესამედ ნაწილზე?

3) მართკუთხედი, რომლის სიგრძეა 20 სმ, სიგანე – 10 სმ, დაყოფილია 2 ტოლ კვადრატად. რის ტოლია დაყოფის შედეგად მიღებული თითოეული კვადრატის პერიმეტრი?

მოცემულია ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევარი:

1) I.
$$\begin{array}{r} \times 240 \\ 360 \\ \hline 144 \\ +72 \\ \hline 8640 \end{array}$$

II.
$$\begin{array}{r} 42105 : 21 = 205 \\ \underline{-42} \\ 0105 \\ \underline{-105} \\ 0 \end{array}$$


III.
$$30458 - 2536 - 5464 = 30458 - 8000 = 22458$$

2) $9 - 5 = 4$, $30 - 10 = 20$, $4 \text{ ლ} 20 \text{ თ} : 3 = 1 \text{ ლ} 30 \text{ თ}$
 მეტია 1 ლარი და 30 თეთრი

3) $20 + 20 + 10 + 10 = 60$ სმ მართკუთხედის პერიმეტრი
 $60 : 2 = 30$ სმ კვადრატის პერიმეტრი

- მიუთითეთ მოსწავლის მიერ დაშვებული თითოეული შეცდომა და დაწერეთ შესწორებული ვარიანტი (მოსწავლისთვის გასაგები ენით).
- დაწერეთ, მოსწავლის მიერ სწორად გადადგმული ნაბიჯებიდან რომლისთვის იმსახურებს მოსწავლე ყველაზე მეტად შექებას, დაშვებული შეცდომებიდან კი რომელია ყველაზე არსებითი? პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა 4)



ბუნებისმეტყველება

30. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი სათაური შეესაბამება მოცემულ რუკას?



- (ა) მეწყერსაშიში ზონები
- (ბ) ტყის ფონდი
- (გ) ფარდობითი ტენიანობა
- (დ) მოსახლეობის სიმჭიდროვე

31. ფოტოებზე გამოსახული ლანდშაფტებიდან რომელი არ გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე?



(ა)



(ბ)



(გ)



(დ)

32. რომელი არ არის მართებული მსჯელობა?

- (ა) ეროვნული წითელი ნუსხა არის იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი.
- (ბ) ეროვნული წითელი ნუსხა იქმნება ქვეყნის ფლორისა და ფაუნის შესწავლისა და მონიტორინგის საფუძველზე.
- (გ) ეროვნულ წითელ ნუსხაში შესულია მხოლოდ ფაუნის გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები.
- (დ) ეროვნული წითელი ნუსხა იქმნება ფლორისა და ფაუნის გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების დასაცავად.

33. რა ეწოდება გამრავლების იმგვარ ტიპს, როცა მცენარის ახალი აღმონაცენი ვითარდება ისეთი ორგანოებიდან, როგორებიცაა ფესვი, ღერო, ფოთოლი?

- (ა) გენერაციული
- (ბ) ვეგეტატიური
- (გ) სომატური
- (დ) პარტენოგენეზი

34. ამფიბიებისგან განსხვავებით, ქვეწარმავლებს კიდურები სხეულის ქვედა მხარეს აქვთ განლაგებული. რას ემსახურება ეს ევოლუციური ცვლილება?

- (ა) წყალში ცურვასთან შეგუებას
- (ბ) ხმელეთზე ცხოვრებასთან შეგუებას
- (გ) კვერცხის დებით გამრავლებას
- (დ) იმავე სახეობის ინდივიდებთან კომუნიკაციას

35. ეკოლოგიურ წონასწორობაში მყოფ ტყის ეკოსისტემაში ჭარბი ნადირობის გამო მთლიანად განადგურდა მგლის პოპულაცია. რომელია მოვლენათა განვითარების ყველაზე სავარაუდო სცენარი?

- I. შემცირდება აღმონაცენის რაოდენობა და დაკნინდება ტყის თვითაღდგენის პოტენციალი.
- II. ტყეში მოიმატებს წაბლისა და პანტის მსხმოიარობა.
- III. ირმისა და შვლის პოპულაციებში გაიზრდება ეპიდემიების რისკი.

ზემოთ მოცემულთაგან რომელია მართებული?

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) I და III
- (დ) II და III

36. რომელი ქიმიური ელემენტის დეფიციტი იწვევს ადამიანის ორგანიზმში ძვლების სიმციფეს?

- (ა) რკინის
- (ბ) კალციუმის
- (გ) ფოსფორის
- (დ) კალიუმის

37. 0° C-ზე წყალი შეიძლება იყოს:

- (ა) როგორც მყარ, ისე თხევად ან აირად მდგომარეობაში
- (ბ) მხოლოდ აირად მდგომარეობაში
- (გ) მხოლოდ თხევად მდგომარეობაში
- (დ) მხოლოდ მყარ მდგომარეობაში

38. რა არის გამოსახული ილუსტრაციაზე?



- (ა) კანიონი
- (ბ) კრატერი
- (გ) აისბერგი
- (დ) პიკი

39. რომელი არ მიეკუთვნება სათბობ-ენერგეტიკულ რესურსს?

- (ა) მანგანუმი
- (ბ) ტორფი
- (გ) ნავთობი
- (დ) ქვანახშირი

40. 2006 წლის 24 აგვისტოს საერთაშორისო ასტრონომიულმა კავშირმა დააზუსტა ტერმინის „პლანეტა“ დეფინიცია. რა მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვია ამ ფაქტმა?

- (ა) მზის სისტემაში პლანეტის სტატუსი მიენიჭა კიდევ ერთ ობიექტს – ერიდას. ამის შედეგად დღეისთვის მზის სისტემაში 10 პლანეტას ითვლიან.
- (ბ) მცირე ზომის გამო, მერკურის და პლუტონს ჩამოერთვა პლანეტის სტატუსი. ამის შედეგად დღეისთვის მზის სისტემაში 7 პლანეტას ითვლიან.
- (გ) მზის სისტემის პლანეტები 2 ჯგუფად დაიყო – 4 გაზისებურ გიგანტად და 5 მყარ პლანეტად, ამის შედეგად მზის სისტემაში პლანეტების რიცხვი უცვლელი დარჩა.
- (დ) პლუტონი ჯუჯა პლანეტების რიცხვს მიაკუთვნეს, ამის შედეგად დღეისთვის მზის სისტემაში 8 პლანეტას ითვლიან.

41. დაადგინეთ შესაბამისობა გეოგრაფიულ ობიექტებსა და კონტინენტებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ შესაბამისი კონტინენტის ნომერი (გაითვალისწინეთ, ერთი შესაძლო პასუხი ზედმეტია).

- | | |
|--------------------|----------------------|
| (ა) გრენლანდია | 1. ავსტრალია |
| (ბ) ტიბეტის ზეგანი | 2. აზია |
| (გ) ამაზონი | 3. აფრიკა |
| (დ) საჰარა | 4. სამხრეთი ამერიკა |
| | 5. ჩრდილოეთი ამერიკა |

ა	ბ	გ	დ

42. დაადგინეთ შესაბამისობა ფოტოებზე გამოსახულ ორგანიზმებსა და ბუნებრივი მტრისგან თავდაცვის ადაპტაციებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ფოტოს აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ შესაბამისი ადაპტაციის ნომერი (გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია პასუხის გამეორება).



(ა)



(ბ)



(გ)



(დ)

1. გარეგანი ჩონჩხი
2. გამაფრთხილებელი შეფერილობა
3. მფარველობითი შეფერილობა

ა	ბ	გ	დ

43. დაადგინეთ შესაბამისობა ფოტოებზე გამოსახულ ორგანიზმებსა და მათს ტიპურ ბუნებრივ საარსებო გარემოს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ფოტოს აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ საარსებო გარემოს შესაბამისი ნომერი (გაითვალისწინეთ, შესაძლებელია პასუხის გამეორება).



(ა) დათვი



(ბ) ყანჩა



(გ) ჯიხვი



(დ) ქურციკი



(ე) გარეული ღორი

1. ტყე
2. მაღალი მთა
3. სტეპი
4. წყალსატევები და წყლისპირები

ა	ბ	გ	დ	ე

44. აუხსენით მოსწავლეებს, რატომ არ უნდა გავანადგუროთ მწვანე ნარგავები და რეკრეაციული ზონები ქალაქში (მიუთითეთ, სულ მცირე, ორი მიზეზი).

(მაქსიმალური ქულა 1)

კითხვისა და წერის სწავლება

45. გაეცანით კითხვის სწავლების საწყისი პერიოდისთვის განკუთვნილ დავალებას:

შეაერთე წინადადება შესაბამის ნახატთან:



ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი უნარის განვითარებას არ ისახავს მიზნად აღნიშნული აქტივობა?

- (ა) წაკითხვის გააზრების
- (ბ) ყურადღების კონცენტრაციის
- (გ) წერილობითი ინსტრუქციის გაგებისა და შესრულების
- (დ) ციფრსა და რაოდენობას შორის მიმართების დადგენის

46. მასწავლებლის მიზანია, განუვითაროს მოსწავლეებს ტექსტიდან ამოკითხული ინფორმაციის განზოგადებისა და ამის საფუძველზე დასკვნების გამოტანის უნარი. კითხვის რომელი სტრატეგიის გამოყენება დაეხმარება მას ყველაზე მეტად აღნიშნული მიზნის მიღწევაში?

- (ა) წაკითხული ტექსტის სტრუქტურისა და სტილის აღწერა
- (ბ) ახლად წაკითხული ტექსტის შედარება სხვა დროს წაკითხულ მასალასთან
- (გ) წასაკითხ ტექსტში მოქმედების სავარაუდო განვითარების წინასწარ გამოცნობა
- (დ) ავტორის პოზიციისა და დამოკიდებულების განსაზღვრა ტექსტში წარმოდგენილი საკითხის მიმართ

47. გიორგის უძნელდება დამოუკიდებლად სიტყვის სწორად ჩაწერა რვეულში. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ შეიძლება იყოს მოსწავლის წარუმატებლობის მიზეზი?

გიორგის უჭირს:

- (ა) სიტყვის შემადგენელ ბგერებად დაშლა
- (ბ) სიტყვის შემადგენელი ბგერების შესაბამის ასოებთან დაკავშირება
- (გ) სიტყვაში ბგერების საჭირო თანმიმდევრობის დამახსოვრება
- (დ) სიტყვის შემადგენელი ხმოვნებისა და თანხმოვნების ერთმანეთისგან გარჩევა

48. გაეცანით წინასაანბანო პერიოდში ფონოლოგიური ანალიზის უნარის გასავითარებელ სავარჯიშოებს:

- I. მასწავლებელი ამბობს სიტყვებს, მოსწავლემ უნდა დაასახელოს პირველი და ბოლო ბგერა;
- II. მასწავლებელი ამბობს მოკლე სიტყვას, მოსწავლემ იმდენჯერ უნდა დაუკრას ტაში, რამდენი ბგერაცაა სიტყვაში;
- III. მასწავლებელი ამბობს მარტივ წინადადებას, მოსწავლემ იმდენჯერ უნდა დაუკრას ტაში, რამდენი სიტყვაცაა წინადადებაში.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია დალაგებული აქტივობები სირთულის ზრდის მიხედვით?

- (ა) I, II, III
- (ბ) II, I, III
- (გ) II, III, I
- (დ) III, II, I

49. მასწავლებლის მიზანია, დაადგინოს, რამდენად შეუძლია მოსწავლეს სიტყვის დაშლა მნიშვნელობის მქონე ნაწილებად და ამის საფუძველზე მთლიანი სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრა. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადება გამოადგება მას აღნიშნული მიზნის მისაღწევად?

- (ა) ჩიტი მთელი ძალით ებრძოდა ქარს.
- (ბ) გემი გარიჟრაჟზე მიუახლოვდა ნაპირს.
- (გ) წინ განსაცვიფრებელი სურათი გადაიშალა.
- (დ) მარიამი ჭადრაკის დიდი გულშემატკივარი იყო.

50. ანა ცალკეულ ასოებს კითხულობს და შეუძლია მათი სიტყვად გაერთიანება, თუმცა ვერ ხვდება, რა სიტყვა წაიკითხა. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია **ყველაზე ადეკვატური** აქტივობა ანას დასახმარებლად?

- (ა) ბარათებზე დაწერილია სიტყვები, ხოლო სხვა ბარათებზე დახატულია შესაბამისი გამოსახულებები; ანამ უნდა დააწყვილოს სიტყვები შესაბამის გამოსახულებებთან.
- (ბ) ბარათებზე მოცემულია სიტყვები შესაბამისი გამოსახულებებით, ანამ უნდა ამოიკითხოს ბარათზე დაწერილი სიტყვები.
- (გ) ბარათზე დაწერილია სიტყვები შეცდომით და აქვე მოცემულია ამ სიტყვათა შესაბამისი გამოსახულებები, ანამ უნდა წაიკითხოს სიტყვები სწორად.
- (დ) ბარათებზე დაწერილია სიტყვები და აქვე დატოვებულია ცარიელი ადგილები, ანამ უნდა ამოიკითხოს სიტყვა და ჩახატოს სიტყვის შესაბამისი გამოსახულება.

51. კვლევების თანახმად, წაკითხულის გააზრება ერთდროულად შემეცნებითი და ემოციური აქტივობაა. კარგი მკითხველი აქტიურად არის ჩართული ტექსტის კითხვის პროცესში როგორც შემეცნებითი თვალსაზრისით, ისე ემოციურადაც. ქვემოთ მოცემული შედეგებიდან რომელი განამტკიცებს ყველაზე მეტად აღნიშნულ მოსაზრებას?

კითხვაში მიღწევები უფრო მაღალია იმ შემთხვევაში, როცა მასწავლებელი სისტემატურად იყენებს კითხვის შემდეგ სტრატეგიას:

- (ა) ჩუმად და ხმამაღლა კითხვაში ვარჯიში, სანამ მოსწავლე გამოთქმით და თავისუფლად არ წაიკითხავს წასაკითხი მასალის 95%-ს.
- (ბ) ტექსტის შესახებ წინასწარი ვარაუდების გამოთქმა საკუთარი გამოცდილების საფუძველზე და ამ ვარაუდების დამტკიცების ან უარყოფის შესახებ მსჯელობა წაკითხვის შემდეგ.
- (გ) სუსტი მკითხველისა და ძლიერი მკითხველის დაწყვილება და სხვადასხვა ტიპის ტექსტის ერთობლივად წაკითხვაში ვარჯიში.
- (დ) დასმულ შეკითხვებზე შესაბამისი პასუხის მოძებნა წაკითხულ ტექსტში და ტექსტის გააზრებისთვის მნიშვნელოვანი საკვანძო სიტყვების ხაზგასმა.

52. კითხვაში პრობლემების მქონე მოსწავლისთვის დახმარების ერთსემესტრიანი პროგრამის განხორციელების შემდეგ მასწავლებელმა ამ მოსწავლის კითხვის უნარის განვითარების დონის შეფასება გადაწყვიტა. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია საუკეთესო ინდიკატორი მოსწავლის კითხვის უნარის პროგრესის შესაფასებლად?

- (ა) კითხვაში ამ მოსწავლის მიღწევების შედარება სხვა აკადემიურ საგნებში მის მიღწევებთან.
- (ბ) კითხვაში ამ მოსწავლის მიღწევების შედარება თანაკლასელების მიღწევების საშუალო მაჩვენებელთან.
- (გ) ამ მოსწავლის მიერ გამოვლენილი კითხვის უნარის შედარება ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორებთან.
- (დ) ამ მოსწავლის მიერ სემესტრის დასაწყისში გამოვლენილი კითხვის უნარის შედარება სემესტრის ბოლოს მიღებულ შედეგთან.

53. მოსწავლემ სწრაფად და უყურადღებოდ წაიკითხა ტექსტი. შესაბამისად, მასწავლებლის შეკითხვას, რომელიც ტექსტის ფარულ აზრს შეეხებოდა, არასწორი პასუხი გასცა. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მასწავლებლის ყველაზე ადეკვატური სტრატეგია, თუკი მას სურს, მოსწავლეს წაკითხულის გააზრებაში „ხარაჩოს პრინციპით“ დაეხმაროს და პასუხი აღმოაჩინოს?

- (ა) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს, იპოვოს წინადადება ტექსტში საკუთარი პასუხის დასადასტურებლად ან უარსაყოფად.
- (ბ) მასწავლებელი თავად აჩვენებს მოსწავლეს ადგილს ტექსტში, რომელიც მის პასუხს ეწინააღმდეგება.
- (გ) მასწავლებელი კიდევ ერთხელ იმეორებს შეკითხვას და სთხოვს მოსწავლეს, დაფიქრდეს და ისე გასცეს პასუხი.
- (დ) მასწავლებელი კიდევ ერთხელ იმეორებს შეკითხვას და სთხოვს სხვა მოსწავლეს, დაეხმაროს თანაკლასელს პასუხის გაცემაში.

54. პირველი კლასის მოსწავლეს დაფიდან რვეულში სიტყვის უშეცდომოდ გადმოწერაში შემდეგი სტრატეგია ეხმარება: თითოეული ასოს ჩაწერამდე იხსენებს მისი გამოყვანისთვის საჭირო ხელის მოძრაობას. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მას უჭირს:

- (ა) ბგერების ერთმანეთისგან გარჩევა და სიტყვაში ბგერების თანმიმდევრობის დამახსოვრება.
- (ბ) ასოების სივრცითი ნიშნების ერთმანეთისგან გარჩევა და დამახსოვრება მხოლოდ ვიზუალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით.
- (გ) სიტყვაში ასოების თანმიმდევრობის დამახსოვრება და სიტყვის მთლიანი ორთოგრაფიული ხატის დამახსოვრება.
- (დ) ბგერის დაკავშირება ასოსთან და საჭირო დროით ყურადღების კონცენტრაცია გარკვეული მიმართულებით.

55. წაიკითხეთ IV კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ტექსტი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები.

მარჯნის რიფები ზღვის ცოცხალი ორგანიზმებისაგან იქმნება. ეს ცოცხალი ორგანიზმები პაწაწინა ცხოველები – მარჯნის პოლიპებია. როდესაც ისინი იხოცებიან, მათ თავზე ახალი პოლიპები იზრდებიან. ასე ემატება დროთა განმავლობაში შრე შრეზე მარჯნის რიფებს. მარჯნის პოლიპებს ზრდა-გამრავლებისთვის კარგად განათებული, სუფთა წყალი სჭირდებათ. ზოგიერთი მარჯნის რიფი იმდენად დიდია, რომ კოსმოსიდანაც ჩანს. რიფების სიახლოვეს ბევრი თევზი ბინადრობს. მათგან ერთ-ერთი – თუთიყუშთევზა – განსაკუთრებულია. მარჯნის ნატეხის გადაყლაპვის შემდეგ ის გამოსაკვებად საჭირო რაოდენობას გადაამუშავებს, დანარჩენს კი ქვიშის სახით გარეთ გამოდევნის. ბევრი ფრინველი სტუმრობს მარჯნის კუნძულებს გამრავლების სეზონზე ბუდეების ასაგებად.

55.1. დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა, რომელიც დაეხმარება მათ, ამოიცნონ ის ინფორმაცია, რომელიც იგულისხმება ტექსტის მიხედვით, თუმცა, ცხადად არ არის მოცემული. მოიყვანეთ მოსწავლის ერთი შესაძლო სწორი პასუხი თქვენ მიერ დასმულ შეკითხვაზე.

(მაქსიმალური ქულა 1)

55.2. მასწავლებელმა მოსწავლეებს მოცემულ ტექსტთან დაკავშირებით ასეთი შეკითხვა დაუსვა: „საიდან ჩანს, რომ მარჯნის რიფები წყალმარჩხ ადგილებში იზრდება?“

მიუთითეთ, რომელი სააზროვნო უნარის განვითარებას ისახავს იგი მიზნად?

(მაქსიმალური ქულა 1)

მოიყვანეთ მოსწავლის ერთი შესაძლო სწორი პასუხი ამ შეკითხვაზე.

55.3. გამოყავით სამი ძირითადი საკითხი, რომელთა შესახებაც საუბარია ტექსტში. გაუნაწილეთ მოსწავლეთა სამ ჯგუფს ეს საკითხები და ჯგუფებს მიეცით განსხვავებული დავალებები საკითხის უკეთ გასააზრებლად.

(მაქსიმალური ქულა 3)

საკითხი 1:

დავალება 1:

საკითხი 2:

დავალება 2:

საკითხი 3:

დავალება 3:

აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გააზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ფრენკ ბაუმის საბავშვო ზღაპარში „ოზის ჯადოქარი“ მოთხრობილია ამბავი პატარა გოგონა დოროთის შესახებ, რომელმაც სამ მეგობართან ერთად გადალახა ბევრი ბარიერი, გაუმკლავდა თავს დატეხილ ყველა განსაცდელს, რათა მიეღწია ჯადოქრის ქალაქამდე. მას იმედი ჰქონდა, რომ ჯადოქარი მისცემდა ყველაფერ იმას, რაზეც მეგობრები ოცნებობდნენ. ამის ნაცვლად ბრძენმა ჯადოქარმა დოროთი დაარწმუნა, რომ თავად მათ, ჯადოქრის დაუხმარებლად, შეეძლოთ თავიანთი სანუკვარი სურვილების ასრულება.

როგორ შეიძლება ავხსნათ ის შეუპოვრობა და მიზანსწრაფულობა, რომელსაც ადამიანები იჩენენ სასურველი შედეგის მისაღწევად, არახელსაყრელი გარემო პირობების მიუხედავად? თანამედროვე მკვლევრები „იზიარებენ ჯადოქრის მოსაზრებას“, რომ ადამიანის ქცევის მოტივაცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რეალობის სუბიექტურ ინტერპრეტაციაზე. ავსტრიელმა ფსიქოლოგმა ფრიც ჰაიდერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ქცევის შედეგი, მაგალითად, მოსწავლის მიერ მიღებული ცუდი ნიშანი, შეიძლება ისეთ ძალებს მიეწეროს, როგორებიცაა ძალისხმევის არქონა, არასაკმარისი გონიერება, ანდა ისეთს, როგორიცაა, მაგალითად, არასამართლიანი გამოცდა ანდა ტენდენციური მასწავლებელი. ის, თუ რას მიაწერს ადამიანი საკუთარ წარუმატებლობას, გავლენას ახდენს მის მომავალ ქცევაზე. მოსწავლე უფრო ბეჯითად იშრომებს, თუ მიიჩნევს, რომ მიღებული ცუდი ნიშანი მის მიერ ნაკლები ძალისხმევის დახარჯვის შედეგია, მაგრამ მან შეიძლება თავი მიანებოს ყველაფერს, თუ ჩათვლის, რომ მიღებული ცუდი ნიშანი უსამართლობის ან შესაბამისი უნარის არქონის შედეგია.

ამერიკელმა მკვლევარმა მარტინ სელიგმანმა ექსპერიმენტულად დაასაბუთა „დასწავლილი უმწეობის“ ფენომენის არსებობა. „დასწავლილი უმწეობა“ არის მდგომარეობა, როცა ადამიანი დარწმუნებულია, რომ სიტუაცია, რომელშიც ის აღმოჩნდა და რომელიც მას არ მოსწონს, სრულიად არ არის დამოკიდებული მის ძალისხმევაზე, ის ვერ აკონტროლებს მას; ადამიანი ურიგდება ბედს, პასიურია და არ ეძებს გამოსავალს. ამგვარი უმწეობა არ არის ადამიანის თანდაყოლილი მახასიათებელი – ეს მან დაისწავლა. ყოველივე ზემოაღნიშნული უშუალოდ უკავშირდება სწავლების თეორიასა და პრაქტიკას. მიუხედავად იმისა, თუ რა არის აკადემიური ჩამორჩენილობის მიზეზი, მასწავლებლის პოზიცია გადამწყვეტ როლს ასრულებს ჩამორჩენის გადალახვასა თუ განმტკიცებაში. ფაქტია, რომ ერთიმეორეზე მიყოლებული დაბალი ქულები მოსწავლის წარმატებას ვერ უზრუნველყოფს. პირიქით, ის საბოლოოდ გაუქრობს მას საკუთარი შესაძლებლობების რწმენას, გამოიწვევს იმედგაცრუებას. მოსწავლეები სრულიად დაკარგავენ სწავლის მოტივაციას, აღარ გამოიჩენენ ინიციატივას.

ერთ-ერთ ექსპერიმენტში სასკოლო ასაკის ბავშვებს შეუმუშავეს დასწავლილი უმწეობის განცდა. შემდეგ ისინი ორ ჯგუფად დაყვეს. პირველ ჯგუფს აწვდიდნენ ძალზე ადვილად დასაძლევ მათემატიკურ ამოცანებს და ამოხსნის შემდეგ აქებდნენ მათ, რითაც „დასწავლილი უმწეობის განცდა“ განუმტკიცეს. მეორე ჯგუფს კი

აწვდიდნენ როგორც ადვილ, ასევე, რთულ ამოცანებს. ყოველი წარუმატებლობის შემდეგ მასწავლებელი ბავშვებს ეუბნებოდა, რომ ეს მათი არასაკმარისი ძალისხმევის შედეგი იყო. ექსპერიმენტის ბოლოს ორივე ჯგუფის ბავშვებს აძლევდნენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს. აღმოჩნდა, რომ პირველი ჯგუფის ბავშვები, მეორე ჯგუფის ბავშვებისგან განსხვავებით, რთული ამოცანების ამოხსნისას ადვილად ყრიდნენ ფარხმალს. მეორე ჯგუფის ბავშვებმა ქცევის შედეგის ახსნის საწყისი „არასაკმარისი უნარების“ მოდელი „არასაკმარისი ძალისხმევის“ მოდელით შეცვალეს.

56. ძირითადი საკითხი, რომლის შესახებაც საუბარია პირველ აბზაცში („ოზის ჯადოქრის“ სიუჟეტში) არის:

- (ა) საკუთარი შესაძლებლობების სხვაგვარად გააზრება
- (ბ) საკუთარი შესაძლებლობების შესაფერისი მიზნის შერჩევა
- (გ) მიზნის მისაღწევად საჭირო შესაფერისი ქცევის შერჩევა
- (დ) დაბრკოლებებთან გამკლავების უნარის გაუმჯობესება

57. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მეორე აბზაცის დასაწყისში დასმული შეკითხვის პასუხი?

- (ა) რაც უფრო შეუპოვარია ადამიანი და რაც უფრო მეტ ძალისხმევას დახარჯავს, მით უფრო წარმატებული იქნება ის.
- (ბ) ადამიანი მით უფრო დაჟინებულია მიზნის მიღწევისას, რაც უფრო მეტად მნიშვნელოვანია მისთვის მისაღწევი შედეგი.
- (გ) ადამიანი შეუპოვარი და მოტივირებულია მიზნის მიღწევისას, თუ მას მიაჩნია, რომ შედეგი მხოლოდ მის ძალისხმევაზეა დამოკიდებული.
- (დ) ადამიანი ვერ მიაღწევს წარმატებას, თუ მისი წარმატება სიტუაციურ ძალებზეა დამოკიდებული.

58. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ არის განხილული ტექსტში, როგორც რეალობის სუბიექტური ინტერპრეტაციის შედეგი?

მოსწავლის აღქმა, რომ:

- (ა) ტენდენციური მასწავლებელი ჰყავს.
- (ბ) ნაკლები ძალისხმევა დახარჯა.
- (გ) არასაკმარისად გონიერია.
- (დ) ცუდი ნიშანი მიიღო.

59. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ შეიძლება მივიჩნიოთ „დასწავლილი უმწეობის“ განცდის ილუსტრაციად?

- (ა) მოსწავლე უარს ამბობს იმ საგნის შესწავლაზე, რომელიც მის სამომავლო მიზნებს არ შეესაბამება.
- (ბ) მოსწავლე ვარაუდობს, რომ კონკრეტული ამოცანის შესრულება მის შესაძლებლობებს აღემატება.
- (გ) მოსწავლე ფიქრობს, რომ აზრი არ აქვს სწავლას, რადგან მასწავლებელი მაინც არ დაუწერს კარგ ნიშანს.
- (დ) მოსწავლე არ იჩენს გაკვეთილზე ინიციატივას, რადგან ფიქრობს, რომ მისი იდეა არ იქნება საინტერესო.

60. ბოლო აბზაცში განხილულ ექსპერიმენტში მეორე ჯგუფის ბავშვები, პირველისგან განსხვავებით, რთული ამოცანების ამოხსნისას ადვილად არ იხევდნენ უკან იმიტომ, რომ:

- (ა) პირველი ჯგუფის ბავშვებისგან განსხვავებით, მათ მხოლოდ ადვილად დასაძლევ დავალებებს არ აძლევდნენ.
- (ბ) ისინი წინასწარ დაარწმუნეს – მათი წარუმატებლობა არასაკმარისი უნარების შედეგი კი არ არის, არამედ ნაკლები ძალისხმევით.
- (გ) პირველი ჯგუფის ბავშვებისგან განსხვავებით, მათ წინასწარ არ ჰქონდათ დასწავლილი უმწეობის განცდა.
- (დ) ისინი მარტივი დავალებების წარმატებით დაძლევისას კი არ შეაქეს, არამედ უფრო რთული დავალებები შეასრულებინეს.

61. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ადამიანის ქცევას ხშირად განსაზღვრავს მისი **რწმენა იმის შესახებ**, თუ:

- I. რა იყო პასუხისმგებელი წარსულში განცდილ წარმატებასა და მარცხზე;
- II. რისი გაკეთება შეუძლია;
- III. რა უნდა იყოს მისი მიზანი.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია განხილული ტექსტში?

- (ა) მხოლოდ II
- (ბ) მხოლოდ III
- (გ) I და II
- (დ) I და III

62. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ტექსტის ბოლო აბზაცში განხილულ ექსპერიმენტში მიღებული შედეგებიდან?

- (ა) მოსწავლის მოტივაციის ნაკლებობას განაპირობებს მის მიერ დავალებათა წარმატებით შესრულებისთვის მიღებული დადებითი უკუკავშირი.
- (ბ) მოსწავლის შრომისმოყვარეობა და სიბეჯითე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მის გონებრივ შესაძლებლობებზე.
- (გ) „დასწავლილი უმწეობის“ განცდა განაპირობებს მოსწავლის მოტივაციის დაქვეითებას, თუმცა, მისი შეცვლა შესაძლებელია.
- (დ) „დასწავლილი უმწეობის“ განცდის მქონე მოსწავლის მიზანსწრაფულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ხშირად აქვს მას მასწავლებელი.

